

ნაწილი 2 – ორივე კითხვა საგალდებულოა და უნდა იქნეს ამოხსნილი

1. ქვემოთ მოცემულია „კუხენ“ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. „კუხენ“ ჯგუფში შედის სამი საფონდო ბირჟაზე კოტირებული კომპანია – „კუხენი“, „ხაუსი“ და „მანი“.

ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 20X6 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით

	\$მლნ
აქტივები	
გრძელვადიანი აქტივები	
ძირითადი საშუალებები	365
გუდვილი	–
არამატერიალური აქტივები	23
	388
მიმდინარე აქტივები	133
	521
თოტალ ასეტს	521
სულ აქტივები	521
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	
სააქციო კაპიტალი, თითო \$1-იანი აქცია	63
გაუნაწილებელი მოგება	56
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	26
არამაკონტროლებელი წილი	3
	148
გრძელვადიანი ვალდებულებები	101
მიმდინარე ვალდებულებები	
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	272
	373
სულ ვალდებულებები	373
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	521

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების განხილვის დროს წარმოიშვა/აღმოაჩინეს შემდეგი საკითხები:

1. 20X6 წლის 1 ივნისს „კუხენმა“ შეიძინა „ხაუსის“ საკუთარი კაპიტალის 70%. „კუხენმა“ შეძენის კომპენსაციის სახით გადასცა საკუთარი 20 მილიონი \$1-იანი აქცია და 20X7 წლის 31 დეკემბერს დამატებით გადასცემს 5 მილიონ აქციას, თუ აღნიშნული თარიღისათვის დასრულებულ წელს „ხაუსის“ დაბეგვრის შემდგომი წმინდა მოგება იქნება არანაკლებ \$4 მილიონი.

20X6 წლის 1 ივნისს „კუხენის“ თითოეული აქციის საბაზრო ფასი იყო \$2, „ხაუსის“ კი – \$4.20. მიიჩნევენ, რომ არსებობს 20%-იანი ალბათობა, რომ „ხაუსი“ აღნიშნულ მიზნობრივ მოგებას მიიღებს.

„ხაუსის“ შეძენის ბუღალტრული აღრიცხვისას, გუდვილის გაანგარიშების დროს ფინანსურმა დირექტორმა არამაკონტროლებელი წილის ღირებულება არ გაითვალისწინა. მან გამოთვალა, რომ „ხაუსის“ შეძენისას წარმოიშვა \$8 მილიონის შემოსულობა ხალსაყრელი შეძენიდან, რაც მიიღო შემდეგნაირად: შეძენის კომპენსაციას (\$40 მილიონს) გამოაკლო 20X6 წლის 1 ივნისს შეძენილი „ხაუსის“ იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების რეალური ღირებულება (\$48 მილიონი). შესაბამისი შეფასება ჩართულია ზემოთ მოცემულ ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში.

მას შემდეგ, რაც „კუხენის“ დირექტორებმა აღმოაჩინეს ეს შეცდომა, გადაწყვიტეს შეძენის თარიღისათვის არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულებით შეფასება. „ხაუსის“ არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება ეფუძნება შეძენის თარიღისათვის არსებულ კოტირებულ საბაზრო ფასებს. 20X6 წლის 1 ივნისს „ხაუსის“ გამოშვებული საკუთარი კაპიტალი შეადგენს \$13 მილიონს, თითო \$1-იანი აქცია. შეძენის შემდგომ პერიოდში აქციების რაოდენობა არ შეცვლილა.

2. 20X6 წლის 1 იანვარს „კუხენმა“ შეიძინა კერძო საწარმოს „მანის“ საკუთარი კაპიტალის 80%, შეძენის კომპენსაციამ შეადგინა \$57 მილიონი. კომპენსაცია მოიცავდა \$52 მილიონი ოდენობის ფულად სახსრებსა და \$5 მილიონის არაცვეთადი მიწის ნაკვეთის გადაცემას. შეძენის თარიღისათვის მიწის საბალანსო ღირებულება იყო \$3 მილიონი და ნაკვეთი ახლახან გადაეცა „მანის“ აქციების გამყიდველისთვის და 20X6 წლის 31 დეკემბერს კვლავ \$3 მილიონად ასახულია ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში.

შეძენის თარიღისათვის „მანის“ იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების რეალური ღირებულება იყო \$55 მილიონი. 20X5 წ. 31 დეკემბერს დასრულებულ წელს „მანის“ ჩვეულებრივი აქციონერებზე მისაკუთვებელი წმინდა მოგება \$3.6 მილიონია.

„კუხენის“ დირექტორებს სურთ არამაკონტროლებელი წილის შეფასება რეალური ღირებულებით შეძენის თარიღისათვის, მაგრამ გუდვილის გაანგარიშებისას არამაკონტროლებელი წილი კვლავ არ არის გათვალისწინებული. არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულების შეფასება უნდა მოხდეს საწარმოების საბაზრო მაჩვენებლის მეთოდით. „კუხენის“ დირექტორებმა მოძებნეს ორი კომპანია, რომლებიც „მანის“ მსგავსია და ამ კომპანიების საშუალო აქციის ფასი შემოსავალთან ფარდობის კოეფიციენტი არის 21. არამაკონტროლებელი წილის შეფასების მიზნით, დირექტორებმა დააკორექტირეს აქციის ფასი შემოსავალთან ფარდობის კოეფიციენტი 19-მდე, „მანის“ და აღნიშნულ საწარმოებს შორის არსებული განსხვავებების გასათვალისწინებლად. ფინანსურმა დირექტორმა დაადგინა, რომ „მანის“ შეძენისას წარმოიშვა \$3 მილიონის შემოსულობა ხელსაყრელი შეძენიდან, რომელიც შემდეგნაირად გამოთვლილი იყო: \$52 მილიონი ფულად კომპენსაციას გამოაკლდა \$55 მილიონი „მანის“ წმინდა აქტივების რეალური ღირებულება. აღნიშნული შემოსულობა ხელსაყრელი შეძენიდან ჩართულია ზემომოცემულ ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში.

3. 20X6 წლის 1 იანვარს „კუხენმა“ \$40 მილიონად შეიძინა „ნიშის“ სააქციო კაპიტალის 80%, როდესაც მისი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების რეალური ღირებულება \$44 მილიონი იყო. გუდვილის გამოსათვლელად გამოყენებული იყო

გუდვილის ნაწილობრივი მეთოდი და 20X6 წ. 31 დეკემბერს დასრულებულ წელს წარმოიშვა \$2 მილიონი ოდენობის გაუფასურების ზარალი. 20X6 წლის 31 დეკემბერს „კუხენმა“ \$50 მილიონად გაყიდა „ნიშის“ ფლობილი წილი. გაყიდვის თარიღისათვის „ნიშის“ იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების, გუდვილის გარდა, საბალანსო ღირებულება იყო \$60 მილიონი. „კუხენმა“ „ნიშის“ ინვესტიცია თვითღირებულებით ასახა. ფინანსურმა ღირეპქტორმა გამოითვალა, რომ „ნიშის“ გაყიდვისას ვგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოიშვა \$2 მილიონი შემოსულობა გაყიდვიდან, რომელიც შემდეგნაირად იყო გამოთვლილი: \$50 მილიონის ოდენობის მიღებულ შემოსავალს გამოაკლდა \$48 მილიონი, იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების ღირებულების წილი (\$60 მილიონის 80%). აღნიშნული თანხა გატარდა გაუნაწილებელი მოგების ანგარიშის კრედიტში.

4. „კუხენმა“ გადაწყვიტა ერთ-ერთი საკუთარი ბიზნესსეგმენტის რესტრუქტურისაცია. 20X6 წლის 1 ოქტომბერს ღირეპქტორთა საბჭომ დაამტკიცა რესტრუქტურისაციის გეგმა, რომელიც გავლენას მოახდენს თანამშრომლებზე, რომლებიც განთავსებულნი არიან ორ სხვადასხვა ადგილას. პირველი ადგილმდებარეობის შემთხვევაში, 20X6 წლის 31 დეკემბერს ნახევარი ქარხანა დაიხურა, ხოლო სამსახურიდან გაშვებული თანამშრომლების საპენსიო სარგებელი გაყინული იყო. ახალ თანამშრომლებს არ ექნებოდათ დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამაში ჩართვის უფლება. რესტრუქტურისაციის შემდეგ აღნიშნული ადგილმდებარეობის საპენსიო ვალდებულება იყო \$8 მილიონი. ქვემოთ მოცემული ცხრილი უკავშირდება პირველ ადგილმდებარეობას.

ღირებულება რესტრუქტურისაციამდე	1-ლი ადგილმდებარეობა – \$მლნ
დადგენილგადასახდელიანი ვალდებულების დღევანდელი ღირებულება	(10)
საპენსიო პროგრამის აქტივების რეალური ღირებულება	7
წმინდა საპენსიო ვალდებულება	(3)

მეორე ადგილმდებარეობის შემთხვევაში, ყველა საქმიანობა შეწყვეტილია. შეთანხმდნენ, რომ თანამშრომლებს გადაუხდიან \$4 მილიონს, \$2.4 მილიონი საპენსიო ვალდებულების სანაცვლოდ, რომელიც უკავშირდება დაუფინანსებელ საპენსიო პროგრამას.

„კუხენის“ შეფასებით, ზემოაღნიშნული რესტრუქტურისაციის დანახარჯები, საპენსიო დანახარჯების გარდა, იქნება \$6 მილიონი. „კუხენს“ საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში რესტრუქტურისაციის გავლენა ასახული არა აქვს, ვინაიდან საწარმო გეგმავს უფლებითი ემისიის გამოშვებას და არ სურს სააქციო ფასის დაცემა. ამგვარად, ინფორმაცია რესტრუქტურისაციის გეგმის შესახებ საჯაროდ გამოცხადებული არ არის.

მოგეთხოვებათ:

- (ა) (1) აუხსნათ, „კუხენის“ ღირეპქტორებს, შესაბამისი გაანგარიშებით, როგორ უნდა გამოითვალონ გუდვილი „ჰაუსის“ და „მანის“ შეძენისას და აჩვენოთ ფინანსური ღირეპქტორის მიერ დაშვებული შეცდომების გასასწორებლად შესასრულებელი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების კორექტირებები; (10 ქულა)

(2) ახსნათ, შესაბამისი გაანგარიშებებით, „ნიშის“ გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი როგორ უნდა აისახოს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში; (5 ქულა)

(3) ახსნათ, შესაბამისი გაანგარიშებებით, საპენსიო პროგრამა როგორ უნდა აისახოს ბიზნესსეგმენტის რესტრუქტურის შედეგ და აუცილებელია თუ არა რესტრუქტურის ანარიცხის შექმნა 20X6 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. (7 ქულა)

შენიშვნა: (ა)-ნაწილში ქულები მიკუთვნებული იქნება სათანადო პრინციპების ახსნისა და სააღრიცხვო მიდგომებისათვის.

(ბ) როდესაც „კუხენმა“ შეიძინა „მანის“ უმრავლესობის წილი, დანარჩენ არამაკონტროლებელ წილზე არსებობდა ოფციონი, რომლის გამოყენება შესაძლებელი იყო 20X7 წლის 31 მარტამდე. 20X7 წლის 31 იანვარს „კუხენმა“ შეიძინა „მანის“ დანარჩენი არამაკონტროლებელი წილი. არამაკონტროლებელი წილისთვის გადახდილი თანხა მოიცავდა ფიქსირებულ თავდაპირველ გადახდას და შემდგომი ორი წლის განმავლობაში გადასახდელ პირობით თანხებს.

პირობითი გადასახდელი თანხები ეყრდნობა „მანის“ მომავალ მოგებას და შეზღუდული იყო მაქსიმალური თანხის ოდენობით. „კუხენის“ მოსაზრებით, ფიქსირებული თავდაპირველი გადახდა საკუთარი კაპიტალის ოპერაციაა. გარდა ამისა, „კუხენმა“ არ იცოდა, რას წარმოადგენდა პირობითი გადახდა – საკუთარ კაპიტალს, ფინანსურ ვალდებულებას ან პირობით ვალდებულებას.

დირექტორთა საბჭოზე დირექტორები ვერ შეთანხმდნენ სააღრიცხვო მიდგომაზე, „კუხენი“ აპირებს პირობითი გადასახდელების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას ბასს 37-ის - „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ - მიხედვით. შენიშვნაში მოცემული იქნება ინფორმაცია, თანხების გადახდის ვადისა და დირექტორების მიერ შეფასებული ოდენობის შესახებ.

მოგეთხოვებათ:

აუხსნათ „კუხენს“, რა განსხვავებაა საკუთარ კაპიტალსა და ვალდებულებას შორის. გარდა ამისა, აუხსნათ მას „მანის“ არამაკონტროლებელი წლის შექმნისას პირობითი გადასახდელების სააღრიცხვო მიდგომა. (8 ქულა)

(სულ: 30 ქულა)

2. კომპანია „ები“ საქმიანობს მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში.

ბუღალტერმა აღმოაჩინა, რომ „ების“ ფინანსურმა დირექტორმა საქონელი შეიძინა კომპანია „არვიტისგან“, რომელსაც დირექტორი ფლობს ცოლთან ერთად. ბუღალტერის აზრით, ინფორმაცია ამ შესყიდვების შესახებ განმარტებით შენიშვნებში უნდა იყოს გამჟღავნებული. თუმცა, დირექტორი უარს აცხადებს გარიგების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებაზე, რადგან, მისი აზრით, იგი მოხდა „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპის დაცვით. მას მიაჩნია, თუ გარიგების შესახებ ინფორმაცია

გამჟღავნებული იქნება, ეს საწარმოს კონკურენტულ ზიანს მიაყენებს და ფიქრობს, რომ არგამჟღავნების შედეგად წარმოშობილი ინფორმაციის ასიმეტრიულობა არარელევანტურია, რადგან საწარმოების უმრავლესობა აწარმოებს დაკავშირებული მხარეების ოპერაციებს, ამის შესახებ ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნების გარეშე. ანალოგიურად, დირექტორის აზრით, საოპერაციო სეგმენტების მიერ მიღებული მოგების ან ზარალის ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში, საწარმოს მიაღებება კონკურენტული ზიანი.

ბოლო წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ბუღალტერმა შენიშნა, რომ „არვიტმა“ არ გადაიხადა რამდენიმე მილიონი დოლარის ანგარიშ-ფაქტურა, რომლის გადახდის ვადა უკვე დიდი ხნით ვადაგადაცილებულია. ისე ჩანს, რომ საწარმოს ლიკვიდობის პრობლემა აქვს და ნაკლებად სავარაუდოა, რომ „არვიტი“ გადაიხდის ვალდებულებას. ბუღალტრის მოსაზრებით, ამ სავაჭრო მოთხოვნასთან დაკავშირებით აუცილებელია ზარალის ანარიცხის აღიარება. ფინანსურმა დირექტორმა უარი თქვა ამგვარი ანარიცხის აღიარებაზე და ბუღალტერს უთხრა, რომ ამ საკითხის შესახებ, „არვიტის“ კრედიტუნარიანობაზე შესაძლო გავლენის გამო, არავის უნდა უთხრას.

გარდა ამისა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, დირექტორმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ახლახან შექმნილი შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივების შეფასებისას, დადებითი რეალური ღირებულების კორექტირება არ მოხდება. მან გამოაცხადა, რომ ბუღალტრის კეთილდღეობა დამოკიდებულია აღნიშნული ინსტრუქციების შესრულებაზე. შვილობილი საწარმოს რეალური ღირებულება \$50 მილიონით აღემატება ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ საბალანსო ღირებულებას. იმის მიზეზი, თუ რატომ შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივები არ უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, არის ის, რომ გუდვილი შემთხვევითი გამოთვლების შედეგია, რომელსაც საწარმოს საქმიანობის შედეგების შეფასების კონტექსტში არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია.

დასასრულ, სხვა შვილობილი საწარმოების გუდვილის წლიური გაუფასურების მიმოხილვის მომზადებისას, დირექტორმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ბუღალტერს თავისუფლად შეუძლია ჩამოაყალიბოს დაშვებები, რომლებიც გამოიყენება მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გამოსათვლელად, ისე, რომ გუდვილი არ გაუფასურდეს და ბუღალტერმა უნდა გამოიყენოს ისეთი დისკონტირების განაკვეთი, რომელიც ასახავს იმ რისკებს, რომლითაც უნდა გაკეთდეს შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების კორექტირება. მან აღნიშნა, რომ მხარს დაუჭერს ბუღალტრის ხელფასის გაზრდას, თუ ბუღალტერი შეასრულებს მის მითითებებს.

მოგეთხოვებათ:

განიხილოთ ზემომოყვანილი სიტუაციების სააღრიცხვო და ეთიკური შედეგები, ბუღალტრის თვალსაზრისით. (18 ქულა)

პროფესიული ქულები მოგენიჭებათ ეთიკური პრინციპების გამოყენებისათვის. (2 ქულა)

(სულ: 20 ქულა)

ნაწილი ბ – ორივე კითხვა სავალდებულოა და უნდა იქნეს ამოხსნილი

3. (ა) „აფრიკანტი“ ფლობს რამდენიმე ფერმას. გარდა ამისა, მას გააჩნია ქვედანაყოფი, რომელიც ვაჭრობს სოფლის მეურნეობის მანქანებით. საწარმო განიხილავს აღნიშნული ქვედანაყოფის გაყიდვას და ამ მიზნით სურს მანქანების მარაგის

რეალური ღირებულების შეფასება. ამგვარი მანქანებით ვაჭრობენ სამ ბაზარზე და „აფრიკანტი“ სამივე ბაზარზე ახორციელებს გარიგებებს.

20X5 წლის 31 დეკემბერს „აფრიკანტს“ სურს 150 ახალი იდენტური მანქანის რეალური ღირებულების დადგენა. ქვემოთ მოცემულია სამი ბაზრის მიმდინარე მოცულობები და ფასები:

ბაზარი	„აფრიკანტის“				
	მანქანის სარეალიზაციო ფასი \$	მიერ წარსულში რეალიზებული მანქანების მოცულობა	ბაზარზე რეალიზებული მანქანების მთლიანი მოცულობა	ერთი მანქანის გარიგების დანახარჯები \$	ერთი მანქანის ბაზარზე ტრანსპორტირების დანახარჯების \$
ევროპა	40,000	6,000	150,000	500	400
აზია	38,000	2,500	750,000	400	700
აფრიკა	34,000	1,500	100,000	300	600

„აფრიკანტს“ სურს თითო მანქანის \$39,100-ით შეფასება, რადგან ეს უდიდესი წმინდა შემოსავალი თითო მანქანაზე და ევროპა „აფრიკანტის“ პროდუქტისთვის ყველაზე დიდი ბაზარია.

(1) ურჩიეთ „აფრიკანტს“, რა პრინციპების საფუძველზე ხდება ახალი მანქანების ღირებულების დადგენა. გარდა ამისა, იქნება თუ არა მისაღები საწარმოს მიერ გამოყენებული შეფასება ფასს 13-ის – „რეალური ღირებულების შეფასება“ – მიხედვით. (8 ქულა)

(2) გრძელვადიანი აქტივების შეფასებისას, „აფრიკანტი“ იყენებს გადაფასების მოდელს. „აფრიკანტს“ გააჩნია რამდენიმე სოფლის მეურნეობის ნაკვეთი, რომლებსაც იგი არ იყენებს. კომპანიაში მიაჩნიათ, რომ მიწას უფრო მაღალი ღირებულება ექნებოდა, თუ მას გამოიყენებდნენ საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის. მიწის რამდენიმე პოტენციური შემსყიდველი არსებობს, მაგრამ მიწის ნაკვეთების სტატუსი ჯერჯერობით შეცვლილი არ არის. თუმცა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე გაირკვა, რომ შესაძლებელი იქნება მიწის ნაკვეთების სტატუსის შეცვლა და მშენებლობის ნებართვის მიღება. დამატებით, ახლახან მთავრობამ გამოაცხადა, რომ მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები უნდა გამოიყენოს საცხოვრებელი სახლების მშენებლობისთვის.

გარდა ამისა, „აფრიკანტს“ შესთავაზეს მიწის ნაკვეთების გაყიდვა, კომერციული ობიექტების მშენებლობის მიზნით, შეთავაზებული ფასი უფრო მაღალი იყო, ვიდრე საცხოვრებელი სახლების შემთხვევაში. საწარმოში გაიგეს, რომ არაფინანსური აქტივის რეალური ღირებულების შეფასებისას მხედველობაში მიიღება ბაზრის მონაწილის პოზიცია.

აუხსენით „აფრიკანტს“, რას ნიშნავს „ბაზრის მონაწილის პოზიცია“ და ურჩიეთ, ფინანსურ ანგარიშგებაში როგორ უნდა შეფასდეს მიწის ნაკვეთების რეალური ღირებულება. (7 ქულა)

მოკეთხოვბათ:

ურჩიეთ „აფრიკანტს“, როგორ უნდა აისახოს ზემოაღნიშნული საკითხები, შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

შენიშვნა: ქულების განაწილება ნაჩვენებია ზემოთ, თითოეული კითხვის ბოლოს.

(ბ) „აფრიკატი“ უახლოეს მომავალში აპირებს აქციონერთა საერთო კრების ჩატარებას და დირექტორებს სურთ მომზადება ნებისმიერი პოტენციური კითხვისთვის, რომელიც შესაძლოა დასმული იყოს კრებაზე. ახლახან მედია საშუალებებში მსჯელობდნენ ყველაზე შესაბამის შეფასების მეთოდზე, რომელიც შერჩეული უნდა იქნეს აქტივებისა და ვალდებულებების თითოეული კატეგორიისთვის. ბევრი საწარმო ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, იყენებს ამგვარ „შერეულ შეფასების მეთოდს“. გარდა ამისა, მედიაში საუბრობდნენ გავლენაზე, რომელსაც შეფასების განუსაზღვრელობა და ფასების არასტაბილურობა ახდენს ფინანსური ინფორმაციის ხარისხზე.

მოგეთხოვებათ:

იმსჯელოთ იმ გავლენაზე, რომელსაც ზემოაღნიშნული საკითხები მოახდენენ ინვესტორების მიერ შესრულებული „აფრიკანტის“ ფინანსური ანგარიშგების ანალიზზე. (8 ქულა)

ქულები მოგენიჭებათ პროფესიონალიზმისთვისაც, (ბ) ნაწილის პასუხის ნათლად და კვალიფიციურად წარმოდგენისთვის. (2 ქულა)

(25 ქულა)

4. „რაციონალის“ დირექტორები იხილავენ ჯგუფის გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშგებას. ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ამონარიდები.

	20X6 წლის 31 დეკემბერი (\$მლნ)	20X5 წლის 31 დეკემბერი (\$მლნ)
საანგარიშგებო თარიღი		
წმინდა მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე და ქვემოთ ჩამოთვლილი მუხლების შემდეგ	(5)	38
წმინდა საპროცენტო ხარჯი	10	4

ცვეთა	9	8
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	3	2
ქონების გაუფასურება	10	
სადაზღვევო შემოსავალი	(7)	3
	—	
სასესხო ვალდებულების საემისიო დანახარჯები	2	
აქციებზე დაფუძნებული გადახდა	3	1
რესტრუქტურისაციის ხარჯები	4	
შეძენილი არამატერიალური აქტივების გაუფასურების ზარალი	6	8

ფინანსური საქმიანობის შედეგების შესახებ მსჯელობისას, ღირებულებები იყენებენ „საბაზისო მოგების“ ცნებას. ჩვეულებრივ, საბაზისო მოგება ეფუძნება პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებამდე შემოსავლებს (EBITDA). თუმცა, საქმიანობის შედეგების შეფასებისას გამოირიცხება ისეთი მოვლენების ეფექტი, რომლებიც ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობის ნაწილი არ არის.

„საბაზისო მოგების“ გაანგარიშებისას, შემდეგი მუხლები წმინდა მოგებიდან გამორიცხული იყო. 20X6 წელს საწარმომ ჩამოწერა ქონება, საძირკვლის დაწვევის გამო და ასახული იყო ამ ქონებასთან დაკავშირებული სადაზღვევო შემოსავალი, მაგრამ ეს თანხა 20X7 წლამდე დამტკიცებული არ იყო. მხოლოდ 20X7 წელს სადაზღვევო კომპანია დათანხმდა იმას, რომ აღნიშნული საძირკვლის დაწვევა სადაზღვევო შემთხვევა იყო და დააკმაყოფილა სადაზღვევო მოთხოვნა. 20X6 წელს საწარმომ აქტივის შეძენის დასაფინანსებლად განიხილა სასესხო ვალდებულებების გამოშვება, თუმცა აქტივი შეძენილი არ იყო. საწარმომ გასწია დანახარჯები, რომლებიც უკავშირდება სასესხო ვალდებულებების პოტენციურ გამოშვებას და ამიტომ ეს დანახარჯები აისახა ხარჯებში, როგორც დაბეგრამდე წმინდა მოგების ნაწილი. საწარმოს ხელმძღვანელობის მოსაზრებით, აქციებზე დაფუძნებული გადახდა არ იყო ფულადი ხარჯი, ხოლო ოფციონების ღირებულება სუბიექტური იყო. ამგვარად, ღირებულებებს სურთ ამ მუხლის გამორიცხვა „საბაზისო მოგებისადა“. ანალოგიურად, ღირებულებებს სურთ მიმდინარე წლის რესტრუქტურისაციის ხარჯებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ზარალის გამორიცხვაც.

მოგეთხოვებათ:

(ა) (1) იმსჯელოთ შესაძლო პრობლემებზე, რომლებიც წარმოიქმნება, როდესაც საწარმოს სურს საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება და „ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების განსახილველი პროექტი“ ეხმარება თუ არა ინფორმაციის განმარტების საზღვრების დადგენაში. (8 ქულა)

(2) იმსჯელოთ „რაციონალის“ მიერ „საბაზისო მოგების“ შემოთავაზებული გაანგარიშების გამოყენებასა და შეზღუდვებზე.

შენიშვნა: პასუხში უნდა აჩვენოთ 20X5 და 20X6 წწ. 31 დეკემბერს დასრულებული წლების საბაზისო მოგების შესადარისი გაანგარიშება. (9 ქულა)

(ბ) „რაციონალის“ ღირებულებები დაბნეულები არიან, რეკლასიფიცირებისა და კორექტირების გამო და გაიგეს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ბასსს-მა გამოუშვა ოფიციალური დოკუმენტი.

მოგეთხოვებათ:

იმსჯელოთ რეკლასიფიცირებისა და კორექტირების არსის შესახებ და ჩამოაყალიბოთ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში თანხების რეკლასიფიცირების როგორც მხარდამჭერი, ასევე საწინააღმდეგო არგუმენტები. პასუხის ილუსტრირება მოახდინეთ მაგალითების საშუალებით.

მათ წამოაყენეს შემდეგი არგუმენტები იმ მოსაზრების მხარდასაჭერად, თუ რატომ არ უნდა აღიარონ წილობრივი გადახდის ხარჯი.

შენიშვნა: პასუხში მოკლედ ჩამოაყალიბეთ ბასსს-ის კონცეპტუალური საფუძვლების განსახილველი პროექტის დებულებები.

(8 ქულა)

(25 ქულა)